

With funding from



**ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა განვითარების
ინკლუზიური მიდგომებით**



ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

საგრანტო სახელმძღვანელო

2022

პროექტის და საგრანტო სახელმძღვანელოს შესახებ

ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ჩამოყალიბებულია ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია “Action Against Hunger“ კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდთან (KRDF) პარტნიორობით.

ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) წარმოადგენს აღნიშნული პროექტის, თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების მიდგომის ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. LAG-მა თანამონაწილეობით მიდგომით შეიმუშავა ადგილობრივი განვითარების სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს მთავარ დოკუმენტს სოფლის განვითარების გრანტების შერჩევის პროცესში. ამ პერიოდისთვის LAG-მა მხარი დაუჭირა 60 ქვეგრანტს ახმეტის მუნიციპალიტეტში (22 არაკომერციული და 38 კომერციული პროექტი).

პროექტის შესახებ

პროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა განვითარების ინკლუზიური მიდგომებით“ ახორციელებს “Action Against Hunger“ ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით, რომლის მიზანია ქალების, ახლგაზრდებისა და მოწყვლადი პირების ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივი განვითარებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერაში.

პროექტის ამოცანაა თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების მიდგომების (CLLD) გაძლიერება რეგიონში სოფლის განვითარებისთვის და LAG-ების განვითარების მხარდაჭერა.

კერძოდ, ის დაეხმარება LAG-ებს გააძლიერონ მათი ჩართულობა განვითარების შემდეგ 3 თემატურ პრიორიტეტზე:

- ✦ ქალთა ეკონომიკური ჩართულობა და ლიდერობა (WEEL)
- ✦ ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობა
- ✦ გარემოს დაცვა და კლიმატი (კლიმატ გონივრული სოფლის მეურნეობა და ტურიზმის მდგრადი განვითარება)

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია და საგრანტო კონკურსი

პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განახლდა LAG-ის მიერ, რათა განვითარების 3 თემატური პრიორიტეტი სრულად ასახულიყო. შესაბამისად LAG-ი აცხადებს ახალ საგრანტო კონკურსს **2022 წლის 15 მარტიდან**.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია LAG-ის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტები და 3 ქმედება რომლებიც დაფინანსდება 2022 წელს და რომელიც შესაბამისობაშია განვითარების თემატურ პრიორიტეტებთან.

დაფინანსების მისაღებად, ყველა საპროექტო განაცხადი **შესაბამისობაში უნდა იყოს სტრატეგიის ცხრილში მითითებულ სულ მცირე ერთ ღონისძიებასთან** და საპროექტო განაცხადში მკაფიოდ უნდა განმარტოთ რომელს შეესაბამება თქვენი პროექტი.

პროექტი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული ღონისძიებისთვის ცხრილში მითითებული **მინიმალური და მაქსიმალური ბიუჯეტის ოდენობას**.

განმცხადებელს უნდა შეეძლოს **თანადაფინანსების** უზრუნველყოფა. ყოველი ღონისძიების შესაბამისი მინიმალური თანადაფინანსება, ფულადი თუ არაფულადი, ასევე მოცემულია ცხრილში.

ცხრილში წარმოდგენილია სარეკომენდაციო სახის რამდენიმე საპროექტო იდეა მხოლოდ გაიდლაინისთვის, ჩვენი მხრიდან განმცხადებლებისგან მივესალმებით განსხვავებულ, **შემოქმედებით და ინოვაციურ იდეებს**, რომლებიც შესაბამისობაში იქნება დადგენილ სულ მცირე ერთ ღონისძიებასთან.

განაცხადების განხილვის დროს უპირატესობა მიენიჭებათ განაცხადებს:

- რომელსაც წარადგენენ:
 - ქალები
 - ახალგაზრდები (18-29 წლის)
 - მარტოხელა მშობლები
 - შშმ პირები
 - რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები
 - იძულებით გადაადგილებული პირები და ეკომიგრანტები
 - სოციალური შემწეობის მიმღები პირები
- რომლებიც მხარს უჭერენ:
 - ქალებს
 - ახალგაზრდებს (18-29 წლის)
 - მარტოხელა მშობლებს
 - შშმ პირებს
 - რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს
 - იძულებით გადაადგილებულ პირებს და ეკომიგრანტებს
 - სოციალური შემწეობის მიმღებ პირებს

ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) 2022 წელს საგრანტო კონკურსით დასაფინანსებელი პრიორიტეტები და ქმედებები მოცემულია ცხრილში - 1.

ცხრილი 1: ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) 2022 წელს საგრანტო კონკურსით დასაფინანსებელი პრიორიტეტები და ქმედებები

პრიორიტეტი	ქმედება	ბენეფიციარები	ფინანსური დახმარების ზღვარი პროექტების მიხედვით (ევრო)		გრანტის %	თანადაფინანსება %	საორიენტაციო საპროექტო იდეები
			მინიმ.	მაქსიმ.	%	%	
1. საჯარო ინფრასტრუქტურისა და გარემოს გაუმჯობესება საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის წახალისების გზით	1.1 საზოგადოებრივი რეკრეაციული ადგილების გაუმჯობესება და რეაბილიტაცია ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობით	საჯარო დაწესებულებები, კერძო კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია	1,500	5,000	80	20	<ul style="list-style-type: none"> - საპიკნიკე და საკემპინგე ადგილების მოწყობა; - საზოგადოებრივი პარკების, სკვერების, პლაჟების მოწყობა, - რეკრეაციული ადგილების მოწყობა, ბავშვების სათამაშო მოედნების, სპორტული მოედნების გაკეთება - მიწიბინძვლი, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობი ტურისტული ადგილების რეაბილიტაცია და ა.შ.
	1.2 სოფლის გარემოს მოწყობა და დასუფთავება მოხალისეობის ხელშეწყობით და ნარჩენების მართვის წახალისებით.	საჯარო დაწესებულებები, კერძო კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია	1,500	5,000	80	20	<ul style="list-style-type: none"> - სოფლის გარემოს გაწმენდა (მდინარისა და ტბის ნაპირები, ტყის, სოფლების მოედნები და ა.შ.), - ტურისტული ადგილების დასუფთავება - გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება (კულტურის ძეგლების გარემოს დასუფთავება; მოხალისეობრივი დღის ორგანიზება მუნიციპალიტეტის გარშემო გარემოს დასუფთავების მიზნით წელიწადში ერთხელ ან კვარტალში ერთხელ), - ნარჩენების ინტეგრირებული მართვის ორგანიზება (ნაგვის ბუნკერების მოწყობა; ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების კონტეინერები; ბიოლოგიური ნარჩენების კომპოსტირება); და ა.შ.
2. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება სოფლის მეურნეობის, ბიზნესის და ტურიზმის სექტორებში თვითმდგრადობის მხარდაჭერით	2.1 სოფლად მცხოვრები მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალები და ახალგაზრდები) ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე	შშმ ქალები და ახალგაზრდები, სოფლად მცხოვრები, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალები და ახალგაზრდები	1500	3000	80	20	<ul style="list-style-type: none"> - ტექნიკური შესაძლებლობების განახლება, აღჭურვილობა, ინვენტარი და ა.შ. - მომხმარებელთა ახალი სერვისებისა და ახალი პროდუქტების ხაზების მიწოდება - ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური აღჭურვილობის დაფინანსება, რომელიც საჭიროა ხელნაკეთი ნივთებისა და ხელნაკეთი საქმიანობის წარმოებისთვის. - ეკოტურიზმის განვითარების ინიციატივების დაფინანსება - ეკოლოგიურად სუფთა შესაფუთი მასალის წარმოება; წარმოებისთვის საჭირო ეკოლოგიურად სუფთა აღჭურვილობის დაფინანსება. - ტურისტული საპიკნიკე ადგილების ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურით აღჭურვა. - მცირე ზომის ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაფინანსება.

ვის შეუძლია გრანტზე განაცხადის წარდგენა?

- ✚ იურიდიულ პირებს (საჯარო დაწესებულება, მუნიციპალური ან სოფლის ადმინისტრაცია, ინდივიდუალურ მეწარმეები ან კომპანიები)
- ✚ არასამთავრობო ორგანიზაციებს
- ✚ ფიზიკურ პირებს (18 წელზე ზევით)
- ✚ არაფორმალურ ჯგუფებს

განმცხადებელი უნდა იყოს:

- ✚ ახმეტის LAG-ის ტერიტორიის მაცხოვრებელი და იყოს მინიმუმ 18 წლის განაცხადის შეტანის დროისთვის (მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის);
- ✚ რეგისტრირებული ახმეტის მუნიციპალიტეტში და ოპერირებდეს ახმეტის LAG-ის ტერიტორიაზე (მხოლოდ იურიდიული პირებისთვის)
- ✚ ერთ განაცხადის წარმდგენი მოცემული საგრანტო კომპონენტის ფარგლებში.

საპროექტო განაცხადის იდეა უნდა:

- ✚ იქნეს წარდგენილი განაცხადების მიღების საბოლოო ვადის ამოწურვამდე
- ✚ განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტში
- ✚ შეესაბამებოდეს ახმეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას
- ✚ აკმაყოფილებდეს სტრატეგიის სულ მცირე ერთ ქმედებას
- ✚ განხორციელდეს არა უმეტეს 12 თვის განმავლობაში
- ✚ ჯდებადეს დაშვებული/შესაბამისი საგრანტო თანხების და გრანტის ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრულ ფარგლებში

დაფინანსების გამოყენება არ შეიძლება :

- ✗ მიწის ან შენობა-ნაგებობის შესაძენად ან იჯარით ასაღებად;
- ✗ კომერციული პროექტის განმცხადებლებისთვის შენობების განაწლება/რეკონსტრუქციისთვის
- ✗ ჯარიმების, სხვა სახის ფინანსური სანქციებისა და სასამართლო ხარჯების გადასახდელად;
- ✗ საბანკო ხარჯების, საბანკო გრანტიისა და სხვა მსგავსი ხარჯების დასაფარად;
- ✗ იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების, ზედნაღები ხარჯების და დაზღვევის ხარჯების დასაფარად
- ✗ კომუნალური ხარჯებისთვის (ე.ი. საწვავი, ელექტროენერჯის, წყლის გადასახადი, ა.შ.)
- ✗ მიწაზე ინვესტირებისთვის, რომელიც ოფიციალურად ან არაფორმალურად არის დაკავებული ან უკვე გამოყენებულია მესამე მხარის მიერ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი გადაადგილება
- ✗ ინვესტიციებისთვის, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს დაცულ და მნიშვნელოვან ბუნებრივ გარემოზე, ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე;

- ✗ ნარკოტიკული საშუალებებისა და ნიკოტინის წარმოებისთვის;
- ✗ პოლიტიკური პარტიებისა და რელიგიური ინსტიტუტების პოპულარიზაციისთვის;
- ✗ პირუტყვის/საქონლის შესყიდვისთვის (მათ შორის ფუტკრის ოჯახები);
- ✗ საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეული ხარჯებისთვის
- ✗ პერსონალის ან/და მენეჯმენტის ხარჯებისთვის

დასაშვები ხარჯები:

- ✓ მარაგების, მასალების, აღჭურვილობის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესყიდვა.
- ✓ მომსახურების და სამუშაოების ხარჯები
- ✓ სამშენებლო მასალების შესყიდვა (მხოლოდ არაკომერციული პროექტებისთვის)
- ✓ მცირე ზომის აღჭურვილობის შეძენა და მონტაჟი (სკამები, ურნები, ტურისტული ღირსშესანიშნაობების ნიშნები და ა.შ.)
- ✓ ტრენერის/კონსულტანტის ანაზღაურება
- ✓ ტრანსპორტირების ხარჯები (მხოლოდ შესყიდული მასალის ტრანსპორტირება)

შენიშვნა: თანხები არ გადაირიცხება უშუალოდ ქვე-პროექტის ბენეფიციარებზე. ყველა ნივთს მათი სახელით შეიძენს Action Against Hunger-ის ლოჯისტიკისა და შესყიდვების პერსონალი, ორგანიზაციისა და ADC-ს პროცედურების შესაბამისად.

საპროექტო განაცხადების წარდგენისა და შერჩევის პროცესი

საგრანტო კონკურსის გამოცხადება

განაცხადების მიღების პროცესი განხორციელდება 2 ეტაპად:

ეტაპი 1 - პირველადი განაცხადის წარდგენა

ეტაპი 2 - სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა

განაცხადის ფორმების მისარებად გთხოვთ ეწვიოთ ახმეტის LAG-ის ოფიციალურ ვებ. გვერდს www.akhmetalad.ge და ფეისბუქ გვერდს - Akhmeta LAG.

განმცხადებელი ვალდებულია შეავსოს განაცხადის ფორმის ყველა პუნქტი და წარადგინოს განაცხადი დადგენილ ბოლო ვადამდე. განაცხადები წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: akhmetalag@gmail.com

განაცხადების გამოგზავნის ბოლო ვადაა **2022 წლის 15 აპრილი**.

ყველა განმცხადებელი მიიღებს დასტურს განაცხადის მიღების შესახებ.

შენიშვნა: ხელნაწერი ვერსიები არ მიიღება.

ეტაპი 1

პირველადი განაცხადის წარდგენა

პირველადი განაცხადის მიზანია, შემოწმდეს დაიშვება თუ არა ყველა განმცხადებელი საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის, არის თუ არა ხარჯები დასაშვები და შეესაბამება თუ არა პროექტის იდეა, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თუნდაც ერთ ქმედებას. პირველადი შეფასება უნდა განხორციელდეს შესარჩევი კომიტეტის მიერ, რომელიც შედგება აღმასრულებელი საბჭოს წევრებისგან, რომლებიც განიხილავენ განაცხადების ადმინისტრაციულ და შესაბამისობის კრიტერიუმებს. აღნიშნულ პროცესს ზედამხედველობას გაუწევს Action Against Hunger-ის წარმომადგენელი.

პირველადი განაცხადის შეფასება

ადმინისტრაციის და შესაბამისობის ჩამონათვალში გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- ✓ განაცხადი წარდგენილი შესაბამისი სააპლიკაციო ფორმით
- ✓ განმცხადებელი რეგისტრირებულია და ცხოვრობს ახმეტის მუნიციპალიტეტში
- ✓ განმცხადებლის სარეგისტრაციო დოკუმენტი ან პირადობა ისევე როგორც ბიზნეს პარტნიორის (არსებობის შემთხვევაში) თან ახლავს განაცხადს.
- ✓ პირველადი განაცხადის ყველა აუცილებელი ველი შევსებულია;
- ✓ შემოთავაზებული პროექტი მკაფიო შესაბამისობაშია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სულ მცირე ერთ პრიორიტეტთან/საქმიანობასთან;
- ✓ შეესაბამება საგრანტო თანადაფინანსების პროცენტულ მაჩვენებელს
- ✓ მოთხოვნილი დაფინანსება შეესაბამება დადგენილ ზედა და ქვედა ზღვარს.
- ✓ პროექტი დასრულდება განაცხადის შესაბამის წინასწარ შეთანხმებულ ვადებში.
- ✓ განაცხადში ასახულია რა სარგებლის მოტანა შეუძლია პროექტს ადგილობრივი თემისთვის
- ✓ საპროექტო განაცხადის იდეა შესაბამისი და მდგრადია

პირველადი განაცხადების განხილვის პროცედურის შემდეგ, ყველა განმცხადებელი მიიღებს ელექტრონული ფორმით წერილობით შეტყობინებას განხილვის შედეგების შესახებ. წარმატებული განმცხადებლები ინფორმირებული იქნებიან საგრანტო კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასვლის შესახებ.

ექაპი 2

სრული განაცხადის წარდგენის პროცესი

ადმინისტრაციული შემოწმება

პირველადი განაცხადის ეტაპზე წარმატებულ განმცხადებლებს მოეთხოვებათ საბოლოო განაცხადის წარდგენა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრული ნუსხა.

განაცხადების წარდგენამდე პროექტის გუნდი უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას, თუ როგორ უნდა შეივსოს სრული განაცხადის ფორმა კომერციული და არაკომერციული პროექტებისთვის. ასევე მითითებული იქნება განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადები. შეფასების კომისია აწარმოებს განაცხადების ადმინისტრაციულ შეფასებას და აწარმოებს ადმინისტრაციულ მონაცემთა ბაზას.

ადმინისტრაციული მონაცემთა ბაზა იძლევა შესაძლებლობას დავრწმუნდეთ, რომ ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:

- ✓ განაცხადი წარმოდგენილია დამტკიცებული განაცხადის ფორმის მიხედვით;
- ✓ განაცხადი დეკლარაცია ხელმოწერილია განმცხადებლის მიერ;
- ✓ განმცხადებელი არის ახმეტის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელი
- ✓ განაცხადს თან ახლავს სარეგისტრაციო დოკუმენტი ან განმცხადებლის/ბიზნეს პარტნიორის პირადობის მოწმობა;
- ✓ განაცხადი შევსებულია სრულყოფილად
- ✓ განაცხადი შესაბამისობაშია სტრატეგიის პრიორიტეტებთან/საქმიანობებთან
- ✓ მოთხოვნილი დაფინანსება შეესაბამება დადენილ ზედა და ქვედა ზღვარს
- ✓ პროექტი დასრულდება წინასწარ შეთანხმებულ ვადებში
- ✓ თანდართულია ქონების მესაკუთრის ნებართვა (ინფრასტრუქტურული პროექტის შემოთავაზების შემთხვევაში).

განაცხადი უარყოფილი იქნება იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელს არ შეუძლია წარადგინოს ყველა შესაბამისი დოკუმენტი პროექტის მონაცემების შესავსებად.

განაცხადების შეფასების ქულათა სისტემა.

წარმოდგენილ განაცხადებს შეაფასებს შესარჩევი კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის, აღმასრულებელი საბჭოს წევრების, დამოუკიდებელი ექსპერტების და Action Against Hunger -ს წარმომადგენლებისაგან. შეფასება მოხდება ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილი ქულებით, შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

უზრუნველყოფილი იქნება, რომ შერჩევაში მონაწილე არცერთ პირს ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ განაცხადთან. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, დაინიშნება შესარჩევი კომიტეტის სარეზერვო წევრი.

შემუშავებულია შეფასების ქულათა განსხვავებული სისტემები კომერციული პროექტებისა და სოციალური პროექტებისთვის, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში # 3 და # 4.

ცხრილი 3: :ქულებით შეფასების ცხრილი კომერციული (მომგებიანი) პროექტებისთვის

#	კრიტერიუმები	ქულა(მაქს.)
1	პროექტის იდეის, პრობლემის და საქმიანობების აღწერა	16
2	ხელშემწყობი წინაპირობები	5
3	პროექტის განხორციელების მიდგომები	17
4	აპლიკანტის ორგანიზაციული შესაბამისობა	10
5	პროექტის სტრატეგიული მიდგომები	12
6	პროექტის ფინანსური ანალიზი	15
7	მდგრადობა	10
8	პროექტის გავლენა	7
9	პროექტის სოციალური მრავალფეროვნება	8
10	პროექტის განმცხადებელი არის ქალი ან/ახალგაზრდა (18-29 წლის) ან/მოწყვლადი პირი	10
	ჯამური ქულა (მაქს.)	110

ცხრილი 4: ქულებით შეფასების ცხრილი სოციალური (არამომგებიანი) პროექტებისათვის

#	კრიტერიუმები	ქულა(მაქს.)
1	ბიზნეს იდეის, პრობლემის და საქმიანობების აღწერა	16
2	ხელშემწყობი წინაპირობები	5
3	პროექტის განხორციელების მიდგომები	17
4	აპლიკანტის ორგანიზაციული შესაბამისობა	10
5	პროექტის სტრატეგიული მიდგომები	12
6	პროექტის ფინანსური ანალიზი	15
7	მდგრადობა	10
8	პროექტის გავლენა	7
9	პროექტის სოციალური მრავალფეროვნება	8
10	პროექტი რომელიც მხარს უჭერს ქალს /ახალგაზრდას (18-29 წლის) ან/მოწყვლად პირს	10
	ჯამური ქულა (მაქს.)	110

ყოველი შემფასებელი დამოუკიდებლად აფასებს განაცხადს და ადგენს შეჯამებულ საბოლოო რეიტინგს. შესარჩევი კომიტეტი შეაფასებს აპლიკაციების და ამოწმებს თითოეული პროექტის ბიუჯეტს, რათა დარწმუნდეს რომ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება საგრანტო დაფინანსებისთვის გამოყოფილ თანხებს.

წინასწარ შერჩეული სრული განაცხადების შესაბამისობის შემოწმება

თუ საბოლოო განაცხადი შეუსაბამებია ძირითად და მოცემულ კრიტერიუმებს და განმცხადებელი არ იყენებს სხვა დაფინანსების წყაროებს იმავე ინვესტიციისთვის, განაცხადი ჩაითვლება დასაშვებად.

თუ განაცხადი შეუსაბამოა ზემოთ აღნიშნული ერთი ან მეტი კრიტერიუმის თანახმად, განმცხადებელი მიიღებს წერილობით შეტყობინებას მისი განაცხადის უარყოფის/შეუსაბამობის შესახებ.

შესაბამისობის შემოწმება განხორციელდება შესაბამისობის სიის მიხედვით. ასევე განხორციელდება შემდეგი ორი დამატებითი შემოწმების პროცედურა:

ა) ორმაგი დაფინანსების შემოწმება

ერთი და იმავე აქტივობებისთვის ან ინვესტიციებისთვის ორმაგი დაფინანსების თავიდან აცილების მიზნით Action Against Hunger-ი განახორციელებს გადამოწმების პროცესს სხვა დონორების და სააგენტოების მიერ განხორციელებული პროექტების მონაცემთა ბაზების გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება რომ მიღებულია დაფინანსება სხვა პროექტის ფარგლებში იმავე მიმართულებით, ადგილზე გადამოწმების შედეგად გადაწყდება დაფინანსდეს თუ არა ეს პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება განმცხადებლის მიერ სხვა დაფინანსების წყაროების გამოყენება იმავე ინვესტიციისთვის, განაცხადი ჩაითვლება უარყოფილად.

ბ) ადგილზე გადამოწმება

გადამოწმების მიზანია დადგინდეს, შეუსაბამებია თუ არა ფაქტობრივი მდგომარეობა განაცხადში მოცემულ ინფორმაციას. ინფორმაციის გადამოწმებას ერთობლივად ანხორციელებენ Action Against Hunger-ის და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წარმომადგენლები. გადამოწმებას ექვემდებარებიან მხოლოდ ის განმცხადებლები რომლების განაცხადებიც შესაბამისობაშია საგრანტო დაფინანსებასთან.

გადამოწმების დროს ყველა წარმომადგენელი ადგენს და ხელს აწერს ერთობლივი ანგარიშის ფორმას. განმცხადებელს აქვს შესაძლებლობა მოაწეროს ხელი და მისცეს განმარტებები გადამოწმების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საგრანტო დაფინანსების დამტკიცება

შეფასების წინასწარი შევსებული მონაცემები საგრანტო დაფინანსებაზე, წინასწარ გადაწყვეტილებებთან ერთად მიეწოდება ადგილობრივი განვითარების ჯგუფის აღმასრულებელ საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. წევრი, რომელსაც ინტერესთა კონფლიქტი აქვს განსახილველ პროექტთან მიმართებაში, ტოვებს შეხვედრას მისი განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. პროექტების დამტკიცების შემდეგ ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრები განმცხადებლებს მიაწვდიან ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ხელშეკრულების ხელმოწერა

შერჩეულ განმცხადებლებთან ხელშეკრულების გაფორმება დაიწყება მხოლოდ LAG -ის საბჭოს მიერ, გრანტის მინიჭების საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, Action Against Hunger-ი აცნობებს განმცხადებლებს მათი განაცხადების დამტკიცების შესახებ და მოიწვევს მათ საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საგრანტო ხელშეკრულებაში აღწერილი იქნება Action Against Hunger-ის და გრანტის მიმღების უფლება ვალდებულებები. საგრანტო კონტრაქტის ორი (2) ეგზემპლარი ხელმოწერილი იქნება მხარეების, Action Against Hunger და გრანტის მიმღების მიერ, ორივე მხარეს გადაეცემა თითო ასლი.

მას შემდეგ, რაც განაცხადი დამტკიცდება და გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება, გრანტის მიმღებმა უნდა დაიწყოს პროექტის განხორციელება და Action Against Hunger-თან თანამშრომლობა შესყიდვების პროცედურების განსახორციელებლად, ავსტრიის თანამშრომლობის სააგენტოსა და Action Against Hunger შესყიდვების პროცედურების თანახმად.

იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები არ/ვერ უზრუნველყოფს თანადაფინანსებას ან ვერ წარმოადგენს საპატიო/ობიექტურ მიზეზს დაგვიანების შესახებ შეთანხმებულ ვადებში, ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად და ძალადაკარგულად.

ფინანსები და შესყიდვები

თანხების გადახდა არ განხორციელდება უშუალოდ განმცხადებელზე, ვინაიდან Action Against Hunger-ი წარმოადგენს გრანტის გამცემს ორგანოს, იგი აწარმოებს განაცხადში მოცემული ინვესტიციების შესყიდვებს, ასევე იტოვებს უფლებას აწარმოოს დამატებითი კონტროლი როგორც შესყიდვებისა და კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში ასევე პროექტის განხორციელების სრულ პერიოდში.

გრანტით დაფინანსებული სხვადასხვა საქონლის, მასალებისა და სამუშაოების შესყიდვას განახორციელებს Action Against Hunger-ი, შესყიდვების პროცედურების თანახმად.

გრანტის მიმღები უნდა დაეხმაროს Action Against Hunger-ს შესყიდვების პერიოდში შემდეგნაირად:

- ✓ მოამზადოს საქონლის (მათ შორის რაოდენობრივი) ან/და შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი
- ✓ მოამზადოს შესასყიდად საჭირო საქონლის, მომსახურების ან სამუშაოების ტექნიკური მახასიათებლები;
- ✓ მოამზადოს მიმწოდებლების ან კონტრაქტორების ჩამონათვალის ვრცელი სია, იმისათვის რომ შეიქმნას საკმარისი კონკურენცია და მინიმუმ სამი, ფასთა კვოტირების შესაძლებლობა. ასეთი სია შეიძლება მომზადდეს წარსული გამოცდილების ან ბაზრის პირდაპირი კვლევის საფუძველზე;

მონიტორინგი და ანგარიშგება

პროექტის განხორციელების უწყვეტი მხარდაჭერის მიზნით Action Against Hunger-ი ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებთან ერთად განახორციელებენ მონიტორინგს გრანტის მიმღებ პირებთან, სტრატეგიის განხორციელების სრულ პერიოდში.

შესყიდვების დასრულებიდან მეორე წლის პერიოდში, პროექტის დასრულების მომენტიდან, მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შედგება LAG-ის წარმომადგენლებისგან, წელიწადში ერთხელ განახორციელებს ყველა დაფინანსებული პროექტის მონიტორინგს, იმისათვის, რომ შემოწმდეს შესყიდული ინვენტარი და შეფასდეს პროექტის გავლენა წინასწრ დადგენილი ინდიკატორების შესაბამისად.